ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. სანყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთების გამოყენებით:

- შენობა-ნაგებობა 5%

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- სატრანსპორტო საშუალებები 20%
- სხვა ძირითადი საშუალებები 8%-20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება.

აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგებაზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება. საზოგადოების არამატერიალურ აქტივის ძირითად ნაწილს შეადგენს პროგრამული უზრუნველყოფა და ფილმებისა - სერიალების ლიცენზიები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ (Weighted-Average) მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის არის განხორციელებული გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

ტელეკომპანია ახორციელებს მაუნყებლობას მთელი საქართველოს მაშტაბით და მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებულობას, ახალი ამბების, საზოგადოებრივ პოლიტიკური, ანალიტიკური, მიმოხილვითი, საბავშვო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, გასართობ-შემეცნებითი, გასართობი, იუმორისტული, ინტელექტუალური და დოკუმენტური გადაცემების ჩვენება სატელევიზიო ეთერით.

შემოსავლების აღიარება ხდება რეკლამის განთავსებიდან შესრულებული მოსახურების მიხედვით.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.-

3 IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. თუმცა, ამ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლებიც არსებით ცვლილებას მოითხოვს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში, რაც მომავალ პერიოდებში იქნება გამოწვეული.

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება და დაკორექტირება წმინდა სარეალიზაციო ღირებულების მისაღებად - კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ აღმოჩნდა გაუფასურების ბარალის ობიექტური მტკიცებულება ან თუ მოსალოდნელია მომავალ პერიოდში გარკვეული საქონლის გაყიდვა საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, ასეთი აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ბარალის ოდენობის აღიარება ხდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

უიმედო მოთხოვნების დავალიანების გაუფასურების რეზერვი - კომპანია არ აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. როგორც წესი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში. ხელმძღვანელობას არ აქვს შეფასებული უიმედო დებიტორული დავალიანებები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ფიქსირებული აქტივები

	მინა	შენიშვნები	სპეც. მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.442.322	9.995.967	3.186.382	1.000.419	172.305	628.635	16.515.177	33.941.207
შეძენა	-	-	568.790	186.560	29.394	65.357	4.106.978	4.957.078
გასვლა	-	-	(1.887.992)	(302.961)	(42.935)	(113.999)	(4.005.086)	(6.352.973)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.442.322	9.995.967	1.867.180	884.018	158.764	579.994	16.617.069	32.545.313
შეძენა	-	-	506.177	132.353	-	1.030.558	3.698.889	5.367.976
გასვლა	-	-	(1.131.007)	(269.819)	(112.570)	(146.663)	(5.339.259)	(6.999.318)
გადაფასება	22.948.789	-	-	-	-	-	-	22.948.789
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	25.391.111	9.995.967	1.242.350	746.551	46.194	1.463.889	14.976.699	53.862.761
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	-	3.931.856	1.701.612	439.624	116.657	302.160	7.384.109	13.876.018
წლიური ცვეთა	-	499.798	1.165.896	280.083	31.798	89.662	5.164.384	7.231.621
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	(1.887.992)	(302.961)	(42.935)	(113.935)	(4.005.150)	(6.352.973)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	-	4.431.654	979.516	416.746	105.520	277.887	8.543.343	14.754.666
წლიური ცვეთა	-	499.798	627.832	246.768	31.753	76.285	5.866.425	7.348.861
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	(1.131.007)	(269.819)	(112.570)	(146.663)	(5.339.259)	(6.999.318)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	-	4.931.452	476.341	393.695	24.703	207.509	9.070.509	15.104.209
ნარჩენი ღირებულება								
2018 წლის 31 დეკემბერი	2.442.322	6.064.111	1.484.770	560.795	55.648	326.476	9.131.068	20.065.189
2019 წლის 31 დეკემბერი	2.442.322	5.564.313	887.664	467.272	53.243	302.107	8.073.726	17.790.647
2020 წლის 31 დეკემბერი	25.391.111	5.064.515	766.009	352.857	21.491	1.256.380	5.906.190	38.758.552

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ ჩამოწერა 6.999.318 ლარის ღირებულების სრულად ამორტიზირებული ფიქსირებული აქტივები (2019: 6.352.973 ლარის).

2020 წლის 19 მარტს კომპანიის დაკვეთით კომპანიის საკუთრებაში არსებული 2 მიწის ნაკვეთი შეფასდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. შეფასებისას გამოყენებულ იქნა გაყიდვების შედარების მეთოდი და სამართლიან ღირებულებად განისაზღვრა 2.516.753 ლარი (საბალანსო ღირებულება: 186.610 ლარი) და 22.874.358 ლარი (2.255.712 ლარი). შეფასების დასკვნის საფუძველზე კომპანიამ აღიარა გადაფასების რეზერვი 22.948.789 ლარის ოდენობით. აღნიშნული თარიღიდან კომპანია ფიქსირებულ აქტივების კლას „მიწისთვის“ იყენებს გადაფასების მოდელს. კომპანიას აკრძალული აქვს აღნიშნული ქონების გასხვისება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2019 წლის 3 ოქტომბრის განჩინების შესაბამისად.

კომპანიის მთელ ქონებაზე არის საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა შემოსვლების სამსახურის 2016 წლის 16 ნოემბრის შეტყობინების შესაბამისად.

კომპანია არ ფლობს სრულად ამორტიზირებულ ფიქსირებულ აქტივებს.

6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაუმთავრებელი წარმოება	13.397	13.397
ქართული ფილმები	19.813	14.000
სანჯავი	22.226	15.485
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	55.436	42.882

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	14.106.816	13.040.241
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	9.076	8.006
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2.418	56.630
მიმწოდებლებზე გადახდილი დეპოზიტი	236.975	197.863
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14.355.285	13.302.741
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	14.355.285	13.302.741

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

8 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში	2.097	1.167
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	41.237	322.745
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	44.144	323.912

2020 წლის განმავლობაში მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 9.188 ლარი (2019: 1.899 ლარი)

არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ექვივალენტების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

9 საკუთარი კაპიტალი

2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 7.274.029 ლარს.

2019 და 2020 წლების განმავლობაში არ გამოცხადებულა ან/და არ გაცემულა დივიდენდები;

გადაფასების რეზერვი 3.236.526 ლარის ოდენობით წარმოადგენს სრულად ამორტიზირებული ფიქსირებული აქტივების გადაფასების მოცულობას. გადაფასების რეზერვი 22.948.789 ლარის ოდენობით წარმოადგენს მინის გადაფასების შედეგად წარმოშობილ ნამეტს.

10 მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი სესხები იურიდიული პირისაგან	17.138.937	14.034.073
გრძელვადიანი სესხები მფლობელი ფიზიკური პირისაგან	34.899.313	6.177.345
იურიდიული პირისაგან მიღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტი	10.104.258	7.460.517
მფლობელი ფიზიკური პირისაგან მიღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტი	2.424.030	155.174
სულ მიღებული სესხები	64.566.538	27.827.109

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ მფლობელი ფიზიკური პირისაგან მიიღო სესხი 28.632.696 ლარის ოდენობით.

2020 წელს მიღებულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 3.029.192 ლარი (2019: 824.787 ლარი).

2020 წლის განმავლობაში გადახდილმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 3.422 ლარი (2019: 0 ლარი).

2019 და 2020 წლების განმავლობაში არ მომხდარა სასესხო ვალდებულებების დაფარვა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

11 საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი	628.121	551.771
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	590.051	539.076
სოციალური გადასახადი	240.991	361.573
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	1.344
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	316.098	24.275.777
შეთანხმება*	23.150.000	-
სულ საგადასახადო ვალდებულებები	24.925.261	25.729.541

* 2020 წლის 24 მარტს გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N507 განკარგულების საფუძველზე. გადასახდელ საგადასახადო დავალიანებად განისაზღვრა 23.150.000 ლარი, რომელიც თანაბარ პორციებად (4.630.000 ლარი 5 წლის განმავლობაში) განაწილდა პერიოდებზე.

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	31.336.476	27.182.404
მიღებული ავანსები	431.356	171.534
გადასახდელი ხელფასები	2.360.695	2.148.991
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების წინაშე	5.070	28.408
სხვა ვალდებულებები სანარმოს პერსონალის წინაშე	1.848	2.173
გადასახდელი ლიზინგი	730.039	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34.865.484	29.533.506

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

13 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
რეკლამის ხარჯები	409.193	1.053.307
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	26.843.741	24.666.819
შრომის ანაზღაურება (ხელშეკრულებით)	321.370	499.554
საპენსიო შენატანი	391.582	351.105
საიტარო ქირა	1.446.406	1.462.354
საკანცელარიო ხარჯები	11.710	12.442
სამეურნეო ხარჯები	125.024	148.714
კომუნალური ხარჯები	456.622	463.500
კომუნიკაციის ხარჯები	782.992	785.776
რემონტის ხარჯები	143.277	165.896
სანვავის ხარჯი	419.257	523.466
ავტომანქანის დაზღვევა	38.016	44.552
კომპიუტერის ხარჯები	60.356	62.347
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	10.000	311.385

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საგადასახადო ხარჯები	84.712	195.814
საბანკო ხარჯები	16.966	21.058
მივლინების ხარჯები	279.743	621.615
წარმომადგენლობითი ხარჯები	85	7.461
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1.117.312	869.493
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	32.958.364	32.266.658

14 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2020 საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 26.534 ლარი (2019: 15.641 ლარი).

15 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

იხილეთ მე-10 განმარტებითი შენიშვნა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია მფლობელი ფიზიკური პირის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებების შესახებ.

კომპანიას არ აქვს სხვა საბალანსო ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2020 წლის შეადგინა 866.250 ლარი.

16 გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

გემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მიმდინარე სასამართლო დავები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი სასამართლო დავა:

- 1) დავა #1 - საქმე ეხება კომპანიის დავალიანებას, რომელიც აღრიცხულია ფინანსური ანგარიშგების სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაწილში 5.835.741 ლარის ოდენობით (2019: 4.662.771 ლარი);
- 2) დავა #2 - საქმე შეეხება კომპანიის მიერ გადაუხდელ ვალდებულებას. საქმის კომპანიის საწინააღმდეგოდ დასრულების ალბათობა მაღალია, დავის მოცულობა შეადგენს 191.273 ლარს;
- 3) დავა #3 მიმდინარე დავა - საქმე შეეხება კომპანიის მიერ გადაუხდელ ვალდებულებას. საქმის კომპანიის საწინააღმდეგოდ დასრულების ალბათობა მაღალია, დავის მოცულობა შეადგენს 1.366.773 ლარს;
- 4) დავა #4 - საქმე ეხება კომპანიის დავალიანებას, რომელიც აღრიცხულია ფინანსური ანგარიშგების სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაწილში 10.145 ლარის ოდენობით (2019: 10.145 ლარი);
- 5) დავა #5 - დავა ეხება პატივის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს. დავის მოცულობა შეადგენს 10.000 ლარს;
- 6) დავა #6 - დავა ეხება პატივის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს. დავის მოცულობა შეადგენს 5.000 ლარს;
- 7) კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი სასამართლო დავების ყოფილ თანამშრომლებთან. დავების მოცულობა შეადგენს მინიმუმ 848.658 ლარს;

17 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ექვივალენტები	44.144	323.912
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14.355.285	13.302.740
სულ ფინანსური აქტივები	14.399.429	13.626.652
ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიღებული სესხები	64.566.538	27.827.109
საგადასახადო ვალდებულებები	24.925.261	25.729.541
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34.865.484	29.533.507
სულ ფინანსური ვალდებულებები	124.357.283	83.090.157

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძობიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსების მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება კომპანიის საოპერაციო საქმიანობას (როდესაც შემოსავალი ან ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და უცხოურ ვალუტაში გამოხატულ მის ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანიის მიღებული სესხებისა და სავაჭრო ვალდებულების დიდი ნაწილი გამოხატულია უცხოურ ვალუტაში (ევროსა და ამერიკულ დოლარში), შესაბამისად, კომპანიის მგრძობიანობის მაჩვენებელი კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით არსებითი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე <	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	44.144	-	-	44.144
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14.355.285	-	-	14.355.285
სულ ფინანსური აქტივები	14.399.429	-	-	14.399.429
მიღებული სესხები	64.566.538	-	-	64.566.538
საგადასახადო ვალდებულებები	6.405.261	18.520.000	-	24.925.261
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34.865.484	-	-	34.865.484
სულ ფინანსური ვალდებულებები	105.837.283	18.520.000	-	124.357.283
ლიკვიდურობის პოზიცია	(91.437.854)	(18.520.000)	-	(109.957.854)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

	1 ნელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	5 ნელზე <	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	323.912	-	-	323.912
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13.302.740	-	-	13.302.740
სულ ფინანსური აქტივები	13.626.652	-	-	13.626.652
მიღებული სესხები	27.827.109	-	-	27.827.109
საგადასახადო ვალდებულებები	25.729.541	-	-	25.729.541
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29.533.507	-	-	29.533.507
სულ ფინანსური ვალდებულებები	83.090.157	-	-	83.090.157
ლიკვიდურობის პოზიცია	(69.463.505)	-	-	(69.463.505)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

18 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 04 მაისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

2021 წლის იანვარში კომპანიამ მიიღო სესხი დამფუძნებელი ფიზიკური პირისაგან 1.960.000 ლარის ოდენობით;

2021 წლის თებერვალში კომპანიამ მიიღო სესხი დამფუძნებელი ფიზიკური პირისაგან 1.100.000 ლარის ოდენობით;

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ აქციონერებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელებთ რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს “ინოქსი“

ირაკლი ჭილაძე

2021 წლის 30 სექტემბერი



შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის აღწერა და მოკლე ისტორია

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ (შემდგომში „რუსთავი 2“) დაფუძნდა 1996 წლის 27 აგვისტოს. საიდენტიფიკაციო კოდი: 211352016. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N5ა.

რუსთავი 2-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 7 274 029 ლარს, რომელიც მის დამფუძნებლებს შორის გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ქიზარ ხალვაში (პნ 61002000543) - 60%;
- შპს „პანორამა“ (სნ 205033328) - 40 %.

2019 წლის 19 ივლისიდან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 აგვისტოს N2/15651-15 განჩინებისა და ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის №2ბ/4309-15 განჩინების საფუძველზე სრულად შეიცვალა რუსთავი 2-ის დამფუძნებლები, რის შედეგადაც მოხდა მთლიანად მენეჯმენტის შეცვლა.

თავის მხრივ რუსთავი 2-ს დაფუძნებული აქვს კომპანიები:

- შპს მუქსი (სნ 405044955) რეგისტრაციის თარიღი 23.05.2014 წელი -100 %;
- შპს უნიმედია (სნ 205284609) რეგისტრაციის თარიღი 06.08.2009 წელი -50%.

აღსანიშნავია, რომ რუსთავი 2-ის მიერ დაფუძნებულ კომპანიებს არსებითი სამეწარმეო ოპერაციები არ გააჩნია და შეიძლება ითქვას რომ, პრაქტიკულად არ ფუნქციონირებენ.

რუსთავი 2-ის ძირითად საქმიანობად განისაზღვრა სამაუწყებლო მომსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ფინანსური მაჩვენებლები

2020 წელს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებმა შეადგინა 15 365 863 ლარი, ხოლო საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 57 818 148 ლარი, ზარალმა შეადგინა 42 452 285 ლარი.

	2019	2020
შემოსავალი	23,591,698	15,365,863
ხარჯები	-48,945,162	-57,818,148
ზარალი	-25,353,467	-42,452,285

2019 წელს რუსთავი 2-ს სარეკლამო დროის გაყიდვებზე ექსკლუზიური უფლებით მომსახურებას უწევდა შპს „ინტერ მედია“ (ს.ნ 400228650), ხოლო 2020 წლიდან კი შპს „დი ეი სი კაპიტალი“ (405356458) რომლის შემოსავლიდანაც განისაზღვრებოდა რუსთავი 2-ის შემოსავალი პროცენტულად.

რისკ-ფაქტორები

რუსთავი 2-ის სამომავლო ფუნქციონირებადობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო რისკ-ფაქტორები, რომელთაგან გამოვყოფთ შემდგომს:

- ბიუჯეტის მიმართ დავალიანება;
- კონკურენტული გარემო, მაყურებლისა და რეიტინგის შენარჩუნება;
- დაფინანსების მოპოვება.

ტელევიზიის საქმიანობა რეგულირდება, შიდა სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტებით. აგრეთვე კომპანია პრაქტიკაში აქტიურად იყენებს და ითვალისწინებს საერთაშორისო განაწესებსა და რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური კონსულტანტებისაგანაც იღებს რჩევებს იმ საკანონმდებლო ცვლილებთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ეხება საქმიანობის სფეროს, რათა კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდეს სამეწარმეო საქმიანობა.

რისკ-ფაქტორად შესაძლოა სამომავლოდ იქნეს განხილული მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების იმგვარი ცვლილებები, რომლებიც არსებითად შეაფერხებს კომპანიის საქმიანობას.

სამომავლო გეგმები

რუსთავი 2-ის მიზანია ჯანსაღი კონკურენციის პირობებში შეინარჩუნოს რეიტინგი და მაყურებელს შესთავაზოს მაღალი ხარისხის სატელევიზიო პროექტები და მიაწოდოს სანდო ინფორმაცია.

თანამედროვე გამოწვევების ფონზე, რუსთავი 2-ის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ კომპანია ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, პირობებს ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის, რათა გაუმჯობესდეს სატელევიზიო პროდუქტის ხარისხი.

რუსთავი 2 და მისი ჯგუფი ორიენტირებულია მსხვილი და ინოვაციური პროექტების განხორციელებაზე, რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით და მრავალწლიანი გამოცდილებით, კონკურენტუნარიან გარემოპირობებში სატელევიზიო ბაზარზე იქნება ლიდერის პოზიციაზე.

პაატა სალია
შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს
გენერალური დირექტორი
30 სექტემბერი, 2021

